

დადგენილება № ცფ-1005-23
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის
დადების შესახებ

ქ. ქუთაისი,

9 თებერვალი, 2023 წ.

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისიის თავმჯდომარე ტარიელ შვანგირაძე.

2. საქმის განხილვის თარიღი: 2023 წლის 9 თებერვალი.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

ფიზიკური პირი კობა ჩხეიძე, პირადი № 55001006934, დაბ. 1970 წლის 23 ოქტომბერს, მის. ქ. ხონი, ელვარდ გეგიას ქ. № 20, ტელ.: 593 20 26 41.

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

2023 წლის 8 თებერვალს, ქ. ხონში, ელვარდ გეგიას ქ. № 20-ში, აბონენტი ნინა ჩხეიძის აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას დაფიქსირდა ელექტროენერგიის უკანონო მოხმარება. კერძოდ, აბონენტს 17 იანვარს დავალიანების გამო შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება, რა დროსაც მრიცხველის ჩვენება იყო 374, ხოლო 8 თებერვალს გადამოწმების დროს მრიცხველი აღნიშნულ მისამართზე მცხოვრები კობა ჩხეიძის მიერ ჩართული იყო თვითნებურად და დაფიქსირდა წინწაწეული ჩვენება 489, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობით დასჯადი ქმედება. აბონენტს იმავე დღეს შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება დავალიანების სრულად დაფარვამდე. კობა ჩხეიძის მიმართ 08.02.2023-წ. შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ას № 005919 ოქმს ხელს აწერს სამართალდამრღვევი, იგი აღიარებს სამართალდარღვევის არსებობას და აღნიშნავს, რომ მესიჯი არ მისვლია, იფიქრა დავალიანების თანხა გადახდილი ჰქონდა და ეგონა ავტომატ-ამომრთველმა თუ ამოაგდო და ჩართო თვითნებურად. საქმის განხილვაზე სამართალდამრღვევი არ გამოცხადდა. კობა ჩხეიძე არ არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით. საქმეში ასევე წარმოდგენილია 08.02.2023-წ. აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი № A1079093, რომლითაც დასტურდება კობა ჩხეიძის მიერ ელექტროენერგიის მოხმარება აღრიცხვის წესების დარღვევით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (სამართალდარღვევის ოქმი, აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, აბონენტის ბარათი), რომელთა მეშვეობით დგინდება კობა

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

ჩხეიძის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი-ელექტროენერგიის მოხმარება აღრიცხვის წესების დარღვევით. ამასთან დაცულია იმავე კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების სამთვარი ვადა და 240-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის წესი, რომლის დროსაც კობა ჩხეიძემ მისცა ახსნა-განმარტება, გაეცნო ოქმის შინაარსს და ჩაიბარა მისი ასლი.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელე რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-10, 38-ე, 228²-ე, 236-ე მუხლებით, სემეკის 28.06.2021 წ. №19 დადგენილების 33-ე მუხლით, 12.08.2010 წ. №14 დადგენილებით, ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 29.06.2022 წ. EPG RU №2022007 წესით და ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის 10.10.2022 წ. EPG OR № 2022037 ბრძანებით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფიზიკური პირი კობა ჩხეიძე, პირადი № 55001006934, ცნობილი იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი - გაფრთხილება.

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15000 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი: _____

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 (ათი) დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის. ქ. თბილისი, ა. მიცევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:



ტარიელ შვანგირაძე,
კომისიის თავმჯდომარე